საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გველესიანი ლევან გრიგოლის ძე

გველესიანი ლევან გრიგოლის ძე (29. VIII. 1906, ქუთაისი,–16. VI. 1991, თბილისი), მეცნიერი ჰიდროტექნიკის დარგში. საქართვ. დამს. ინჟინერი (1962), საქართვ. ტექ. უნ-ტის პროფესორი (1971).

დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტის სამშ. ფაკ-ტი (1931), აგრეთვე თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ვიოლინოს კლასი, 1933). უკრავდა საქართვ. ახალგაზრდა მუსიკოსთა საზ-ბის სიმებიან ორკესტრსა და რუსთაველის თეატრის ორკესტრში (1924–35). 1942–71 მუშაობდა თბილ. ნაგებობათა და ჰიდროენერგეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ჯერ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, შემდეგ – დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში. იყო ჰიდრავლ. კვლევის საერთაშ. ასოციაციის საკავშ. ეროვნული კომიტეტის წევრი (1960). გ-ის შრომები ეხება ჰიდროენერგეტ. კვანძების სათავე ნაგებობათა წყალსაცავების დალამვისა და მთის მდინარეთა ნატანის დინამიკის საკითხებს. მან პირველმა დაამუშავა საქართვ. მდინარეთა მყარი ნატანის მახასიათებლების განსაზღვრისა და წყალსაცავების გარეცხვის მეთოდები.

თხზ.: Заиление водохранилищ гидроэлектростанций М., 1968 (თანაავტ. Н. П. Шмальцель).